

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 192

ქალაქი ქუთაისი 30 სექტემბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის № 115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მეოთხე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხიდან №253 და №309 პუნქტები.
2. საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №551-№554 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
551	მიწის ნაკვეთი	9 აპრილის ქუჩა №2, ნაკვეთი №2-3/ 9 აპრილის ქუჩა №2, ნაკვეთი №2-5	1635.0 კვ.მ.	03.01.24.461
552	შენობა-ნაგებობა	9 აპრილის ქუჩა №2, ნაკვეთი №2-4	1887.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 261.6 კვ.მ. შენობა-ნაგებობა	03.01.24.384
553	შენობა-ნაგებობა	ზ. გამსახურდიას გამზირი №48ა-ს დასავლეთით	4349.0 მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობები: №1 – 134.74 კვ.მ. №2 – 391.1 კვ.მ. №3 – 94.07 კვ.მ. №4 – 20.33 კვ.მ.	03.01.24.523
554	შენობა-ნაგებობა	დავით და კონსტანტინეს ქუჩა, ყოფილი №2-4/გ.ტაბიძის ქუჩა №1/დავით და კონსტანტინეს ქუჩა №2	490.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 412.28 შენობა-ნაგებობა	03.02.03.165

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი